დამტკიცებულია გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სასწავლო საბჭოს 2014 წლის 28 მაისის N5 საოქმო გადაწყვეტილებით.

ცვლილებები შესულიადა ახალი რედაქციით დამტკიცებულია – გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სასწავლო საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის N2 საოქმო გადაწყვეტილებით.

გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია

მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ა(ა)იპ გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სწავლების ხარისხის შეფასების წესი

სასწავლო პროცესის გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (შემდგომში გსას) მისიასთან შესაბამისობის მიზნით სწავლების ხარისხის შეფასების წესი (შემდგომში წესი) განსაზღვრავს სწავლების ხარისხის შეფასების პროცედურას და ფორმებს.

1. სწავლების ხარისხის შეფასების წესის მიზანი

1.1. ამ წესის მიზანია სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგი, მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მისი განვითარების ხელშეწყობა.

1.2. სწავლების ხარისხის მაჩვენებელია საგანმanათლებლო პროგრამების ხარისხი, სასწავლო პროცესის ორგანიზების დონე, მისი მეთოდური და ტექნიკური უზრუნველყოფა.

1.3 სწავლების ხარისხის შეფასებისათვის მოწმდება:

- საგანმანათლებლო პროგრამა და ცალკეული სასწავლო კურსები;
- აკადემიური პერსონალის კომპეტენტურობა;
- სასწავლო გარემო;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრება;
- კურსდამთავრებულთა დასაქმება.

1.4. გელათის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის განუყოფელი ნაწილია სასწავლებლის საქმიანობაში რეგულარული უკუკავშირი, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ ჯგუფებთან ინფორმაციის რეგულარული გაცვლის საშუალებას. მაგალითად: უკუკავშირი მიიღება სტუდენტების, თანამშრომლების, კურსდამთავრებულებისა და გარეშე პირების გამოკითხვის საშუალებით. უკუკავშირი ექვემდებარება სისტემატურ ანალიზს. უკუკავშირით ხდება არა მხოლოდ დახმარების გაწევა ხარისხის შეფასების პროცესისათვის, არამედ იმის განსაზღვრა, თუ როგორია არსებული მდგომარეობა, რომელი მიმართულებით არის აუცილებელი ან სასურველი გატარდეს გასაუმჯობესებელი ღონისძიება.

1.5. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზანია, გვაჩვენოს სწავლების პროცესში გასატარებელი ცვლილებებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების გზები, რომლებიც დაფუძნებული იქნება სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეებისგან უკუკავშირის მეშვეობით მიღებულ ინფორმაციაზე.

2. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი

2.1. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისგან: დაგეგმე-განახორციელე- შეამოწმე-განავითარე.

2.1.1. დაგეგმე - შესრულებული სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით წინამდებარე წესით დადგენილია – სასწავლო პროცესის რომელი ასპექტები რა პერიოდულობით და თანამიმდევრობით, რომელი კრიტერიუმით და ვის მიერ

იქნება შეფასებული. გსას სტრუქტურული ერთეულების/სუბიექტების მიერ შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა საქმიანობა თუ ინიციატივა. დაგეგმვის პროცესი უნდა მოიცავდეს მიზნების დასახვას, შესაბამის რესურსებს, სტრატეგიულად გაწერილ ქმედებებს თითოეული მიზნის მისაღწევად და შესრულებული სამუშაოს პერიოდული შეფასების სქემას დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

2.1.2. განახორციელე - თითოეული პროგრამის, ასევე, გეგმის, პოლიტიკის ან პროცედურის განხორციელების მონიტორინგისა და შედეგების ანალიზის მიზნით სწავლების ხარისხის შეფასების განხორციელება ხდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებითა და სათანადო უფლებამოსილების მქონე პირების მიერ. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ მონიტორინგსა და ანგარიშგებას. განხორციელების მონიტორინგმა შეიძლება პერიოდულად მოითხოვოს შესწორება ან კორექტირება პროგრამებში, პოლიტიკაში, პროცედურებში, ორგანიზაციულ მიდგომასა და გეგმებშიც კი. საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან დადგენილ სტანდარტებთან პროგრამების შესაბამისობაზე.

2.1.3. შეამოწმე - განხორციელებული კვლევით მიღებული ინფორმაციის ანალიზს ახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური და შედეგები ეცნობება სასწავლო საბჭოს. შეფასება მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესისგან განსხვავდება იმით, რომ მისი დანიშნულებაა შეაფასოს სამუშაოს შესრულება შემაჯამებელი შეფასების სკალით კონკრეტული დროის შუალედში. შეფასება არის ძირითადი საშუალება, რომლითაც უნდა შეფასდეს სასწავლებლის მუშაობა, მისი პოლიტიკის, გეგმებისა და პროცესების განხორციელება. შეფასებამ უნდა წარმოაჩინოს სასწავლებლის ძლიერი მხარეები და გვიჩვენოს სფეროები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას.

2.1.4. განავითარე - სასწავლო საბჭო განსაზღვრავს ნაკლოვანებების მიზეზს და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშვებს სათანადო რეკომენდაციებს; ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში დასახავს არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმებს.

3. სწავლების ხარისხის შეფასების ფორმები

3.1. სასწავლო პროცესის გსას მისიასთან შესაბამისობის მიზნით გამოიყენება სწავლების ხარისხის შემოწმების შემდეგი ფორმები:

ა) ლექტორის საქმიანობის შეფასება;

გ) სტუდენტთა გამოკითხვა;

დ) სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;

ე) დასაქმებული კურსდამთავრებულის და მისი დამსაქმებლის გამოკითხვა;

ვ) კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა;

ზ) ხარისხის მართვის სამსახურის დასკვნა;

თ) პროგრამის ექსპერტიზა.

4. ლექტორის შეფასება

ლექტორის საქმიანობის შეფასება ხდება კომპლექსურად შემდეგი ხერხებით:
ა) ლექტორის თვითშეფასება;
ბ) ადმინისტრაციის მიერ ლექტორის შეფასება;
გ) სტუდენტთა გამოკითხვა.

5. ლექტორის თვითშეფასება

5.1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტი სემესტრულად, დასკვნითი გამოცდის შედეგების მიწოდების შემდეგ ავსებს ამ წესის N1 და N1.1 დანართით დადგენილ თვითშეფასების ფორმას.
5.2. აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების თვითშეფასების ორგანიზებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი და შევსებულ ფორმებს აწვდის ხარისხის მართვის სამსახურს. შესაძლებელია ფორმების ელექტრონული სახით შევსება.
5.3. აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტის მიერ შევსებულ თვითშეფასების ფორმებს ამუშავებს ხარისხის მართვის სამსახური და შედეგებს წარუდგენს სასწავლო საბჭოს.

6. ადმინისტრაციის მიერ ლექტორის შეფასება

6.1. სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მაღალი ხარისხის შენარჩუნების მიზნით სასწავლებელი აფასებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების საქმიანობას.
6.2. ადმინისტრაცია ლექტორის შეფასებას ახორციელებს შემდეგი კრიტერიუმებით:

- სილაბუსის შემუშავება, სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა, კურუკულუმების შემუშავებაში მონაწილეობა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების და შედეგების დროული მიწოდება, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ფორმატის სილაბუსთან შესაბამისობა;
- ცოდნის გადაცემის, მიწოდების უნარი - სტუდენტების მოტივირება, მოცემული სასწავლო კურსით მათი დაინტერესება, სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაცია, სტუდენტების სამართლიანი შეფასება;
- სასწავლო კურსის, დარგობრივ სფეროში არსებული სიახლეების ცოდნა და სხვ.
- სასწავლო კურსის მართვის უნარი - სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულება, მაგალითად კონსულტაციები, ლექციაზე დროზე მოსვლა, ლექციების გაცდენა და სხვ.

6.3. ფაკულტეტის დეკანი/ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელი სემესტრულად ესწრება ლექციას და ავსებს ამ წესის N2 დანართით დადგენილ ლექტორის შეფასების ფორმას. ფორმა ივსება ფაკ. დეკანის მიერ. 2.1 და 2.2 დანართი ივსება კათედრის გამგეების მიერ.

6.4. ადმინისტრაციის მიერ აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების საქმიანობის შეფასების შედეგები უნდა ეცნობოს სასწავლო საბჭოს.

7. სტუდენტთა გამოკითხვა

7.1. სტუდენტის გამოკითხვა ხდება შემდეგი მიმართულებით:

- სასწავლო გარემოს შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსის შეფასება;
- ლექტორის შეფასება.

7.2. სტუდენტი სასწავლებლის გარემოს აფასებს ამ წესის N3 დანართით დადგენილი ფორმის მიხედვით. სტუდენტის გამოკითხვა ხდება წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის დასრულებამდე 2 თვით ადრე.

7.3. სტუდენტი აფასებს საგანმანათლებლო პროგრამას და აღნიშნავს თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის დონეს ამ წესის N4 დანართით დადგენილი ფორმის მიხედვით. სტუდენტის გამოკითხვა ხდება სემესტრულად, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებამდე გონივრული ვადით ადრე. ამ წესით დადგენილი სტუდენტთა გამოკითხვა ანონიმურია.

7.4. სტუდენტი აფასებს ლექტორის საქმიანობას ამ წესის N5 დანართით დადგენილი ფორმის მიხედვით. სტუდენტის გამოკითხვა ხდება სემესტრულად, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებამდე დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებამდე გონივრული ვადით ადრე. ამ წესით დადგენილი სტუდენტთა გამოკითხვა ანონიმურია.

7.5. ამ წესის 7.2, 7.3 და 7.4 პუნქტებით დადგენილი სტუდენტთა გამოკითხვის ორგანიზებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი, ხოლო გამოკითხვის ანალიზს - ხარისხის მართვის სამსახური. შედეგები უნდა ეცნობოს სასწავლო საბჭოს.

8. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი

8.1. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს სემესტრულად, N6 დანართი დადგენილი ფორმის მიხედვით, ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი.

8.2. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგები უნდა ეცნობოს სასწავლო საბჭოს.

9. დასაქმებული კურსდამთავრებულის და დამსაქმებლის გამოკითხვა

9.1. სასწავლებლის ადმინისტრაცია ატარებს დასაქმებული კურსდამთავრებულისა და მისი დამსაქმებლის გამოკითხვას.

9.2. დასაქმებულ კურსდამთავრებულსა და მის დამსაქმებელთან ინტერვიუ ტარდება ამ წესის N7 დანართით დადგენილი ფორმით. ინტერვიუს ატარებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ შერჩეული პირი. ინტერვიუს შეიძლება დაესწროს ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელი.
9.3. კურსდამთავრებულის, ასევე დამსაქმებლის, გამოკითხვა ტარდება ერთჯერადად სასწავლებელში მისი პირველი დასაქმების შესახებ ინფორმაციის შემოსვლიდან 6 თვის ვადაში.
9.4. შედეგები უნდა ეცნობოს სასწავლო საბჭოს.

10. სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა

10.1. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლებლის მისიასთან შესაბამისობის მიზნით ხარისხის მართვის სამსახური ყოველწლიურად ამუშავებს მონაცემებს კურსდამთავრებულთა შრომის და განათლების ბაზარზე დასაქმების შესახებ.
10.2. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ მონაცემების აღრიცხვა ხდება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში.
10.3. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ მონაცემები უნდა ეცნობოს სასწავლო საბჭოს.

11. ხარისხის შეფასების უზრუნველყოფა

11.1. ხარისხის მართვის სამსახური საგანმანთლებლო პროგრამის აკადემიური საბჭოსათვის წარდგენამდე ამზადებს დასკვნას საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.
11.2. ხარისხის მართვის სამსახური დასკვნას ამზადებს ამ წესის N8 დანართით დადგენილი ფორმის შესაბამისად.
11.3. ხარისხის მართვის სამსახურში დაცულია, ხარისხის უზრუნველყოფისას განხორციელებული ანალიზისა და მასთან დაკავშირებით მოპოვებული ყველა სახის ინფორმაცია.

12. სასწავლებლის შიდა შეფასების შედეგები

სასწავლებლის შიდა შეფასების შედეგების ანალიზს ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ განიხილავს სასწავლო საბჭო და საჭიროებისამებრ შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

დანართი N1

გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

ლექტორის თვითშეფასება

ლექტორის გვარი, სახელი ----------

შემოხაზეთ პასუხი:

1. არსებობს თუ არა სასაწავლებელში შესაბამისი გარემო ლექციის ჩასატარებლად?
   ა. კი
   ბ. ნაწილობრივ
   გ. არა
   დ. სხვა ----------

2. საკმარისი იყო თუ არა სტუდენტებისათვის სასწავლოს კურსის ასათვისებლად გამოყოფილი დრო?
   ა. სრულად საკმარისი
   ბ. ჯობდა მეტი დრო დათმობოდა
   გ. ძალიან ცოტა დრო იყო გამოყოფილი
   დ. სხვა----------

3. აღრიცხავთ თუ არა სტუდენტთა დასწრებას?
   ა. კი, სისტემატიურად
   ბ. არა
   გ. არასისტემატიურად
   დ. სხვა----------

4. გასულ სემესტრში აგვიანებდით ლექციაზე/ადრე უშვებდით?
   ა. მსგავსი არ ყოფილა
   ბ. იშვიათად
   გ. ვაცდენდი
   დ. სხვა ----------

5. მიუთითეთ სემესტრის განმავლობაში თქვენს მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

6. მიუთითეთ სამეცნიერო კონფერენციებში (ტრენინგებში) მონაწილეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

7. სასაწავლებლის ფარგლებში ან მის გარეთ, თუ ჩატარებულა რაიმე ღონისძიება თქვენი ხელმძღვანელობით (კონფერენცია და სხვ.)?

8. რა ინტენსიურობით ატარებთ კონსულტაციებს სტუდენტებთან?

9. რას შეცვლიდით სასაწავლებლის საქმიანობაში?

შევსების თარიღი .....

დანართი N2

გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

ლექტორის შეფასების კითხვარი

ეს ნაწილი ივსება ლექციაზე დასწრებისას

ლექტორის გვარი სახელი ----------

სასწავლო კურსის დასახელება ----------

ფაკულტეტი ----------
თითოეული კრიტერიუმის შეფასება მოხდება 0-5 ქულის ფარგლებში.
მოცემულ შეფასებაში აღინიშნება ერთი სალექციო საათის შედეგი.

შეფასებები იყოფა 3 კატეგორიად:
1. 45-50 ქულა - უმაღლესი შეფასება
2. 40-35 ქულა - დადებითი შეფასება
3. 0-34 ქულა – საჭიროებს დამატებით მუშაობას
შეფასების მე-3 კატეგორიის შემთხვევაში აუცილებელია კვალიფიკაციის ამაღლება შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით.

შეფასების კრიტერიუმები

#	**კრიტერიუმები**	**0-5 ქულის ფარგლებში**
1	საკითხის ცოდნა	
2	გასაგებად გადმოცემის უნარი	
3	სტუდენტთა კითხვებზე პასუხის გაცემა	
4	სტუდენტთა აქტიობა (ინტერაქტიულობა). ლექტორი ხელს უწყობს სტუდენტებს დასვან კითხვები და ჩაერთონ დისკუსიაში	
5	ლექტორი იყენებს თვალსაჩინოებას (ტექნიკური/ელექტორნული საშუალებები, დაფა)	
6	აუდიტორიის მართვის უნარი	
7	სტუდენტებისათვის დამოუკედებელი მუშაობის განსაზღვრა შეესაბამება სასწავლო კურსის მიზნებს	
8.	ლექტორი წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით ატარებს ლექციებს	
9.	ლექტორი იძლევა მაგალითებს და განმარტებებს, რასაც სტუდენტი მასალის გააზრებამდე მიჰყავს	
10.	ლექტორი ცდილობს გაარკვიოს, თუ რამდენად გაიგეს სტუდენტებმა მიწოდებული მასალა	

დამსწრის დამატებითი წინადადებები და შენიშვნები

კითხვარის შემვსები პირის სახელი, გვარი
თანამდებობა, ხელმოწერა

კითხვარის შევსების თარიღი

- შევსებული ფორმა გადაეცემა ხარისხის მართვის სამსახურს.

დანართი N3

გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

სტუდენტის სასწავლო გარემოს შეფასება

(სასწავლო წელი---------, სემესტრი: ----------)

მიუთითეთ რომელი წლის ჩარიცხვის სტუდენტი ბრძანდებით:

1. მოგწონთ თუ არა სასწავლებლის ადმინისტრაციის დამოკიდებულება სტუდენტებისადმი (ხომ არ თვლით, რომ რიგ შემთხვევებში, სტუდენტებთან მიმართ ადგილი აქვს სავარაუდო დისკრიმინაციულ გამოვლინების კონკრეტულ ფაქტებს. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ სათანადო რეაგირებისათვის, დაუყოვნებლივ აცნობთ რექტორს, პრორექტორს ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს)?

   ა. კი ბ. არა

   თუ არ მოგწონთ, გთხოვთ დაგვიკონკრეტოთ მიზეზი ----------

---

2. არსებობს თუ არა სტუდენტთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი კულტურული, ინტელექტუალური და პიროვნული განვითარებისათვის ჰარმონიული გარემო?
   ა. კი ბ. არა გ. ნაწილობრივ

3. გეგმავთ თუ არა სასწავლებლიდან წასვლას?
   ა. კი ბ. არა

4. გაკმაყოფილებთ თუ არა სწავლის პირობები (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა)?
   ა. კი
   ბ. არა
   გ. ნაწილობრივ
   სხვა ---

---

5. დაგხვდათ თუ არა ცხრილი გამოკრული სათანადო ადგილას?
   ა. ცხრილი გამოკრული და ხელმისაწვდომი იყო
   ბ. ცხრილი არ იყო გამოკრული
   გ. ცხრილი გააკრეეს დაგვიანებით
   დ. არ მახსოვს
   სხვა ---

---

6. იცით თუ არა რას ნიშნავს კრედიტი და როგორ უნდა მოიპოვოთ ის?
   ა. ვიცი კარგად
   ბ. ვიცი ბუნდოვნად
   გ. მხოლოდ მსმენია
   დ. არ ვიცი

7. გაკმაყოფილებთ თუ არა სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული მდგომარეობა?
   ა. ყველა სახელმძღვანელო შეიძლება იყიდო
   ბ. ზოგი სახელმძღვანელო იყიდება, ზოგი ბიბლიოთეკაშია
   გ. ზოგი სახელმძღვანელო საერთოდ არ იშოვება და გვიწევს მათი ასლების დამზადება
   დ. სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე არ არის, ხოლო უცხო ენაზე გვიჭირს კითხვა
   ე. ლექტორების ძალიან ბევრ სახელმძღავნელოებს გვთხოვენ ერთი კურსის ფარგლებში
   ვ. სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში არ არის

ზ. სხვა ----------

8. ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის სილაბუსი?
ა. არის
ბ. არ არის
გ. ნაწილობრივ
დ. არ მსმენია სილაბუსის შესახებ
ე. სხვა ----------

9. გთხოვთ მიუთითოთ რა უნდა გაკეთდეს სასწავლებელში სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად? ----------

10. გთხოვთ მიუთითოთ ყველაზე მნიშვნელოვანი რა მოგცათ სასწავლებელმა? ----------

გმადლობთ თანამშრომლობისთვის და გულახდილობისთვის!

დანართი N 4

გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

სტუდენტის კითხვარი

უმაღლესი აკადემიური პროგრამის შეფასება
(სასწავლო წელი----------, სემესტრი: ----------)

fakultetis saxelwodeba ----------

programis dasaxeleba ----------

მიუთითეთ რომელი წლის ჩარიცხვის სტუდენტი ბრძანდებით: ----------

1. **სემესტრის განმვალობაში თქვენს მიერ გავლილი საგნების რაოდენობა და სირთულე შეესაბამებოდა თუ არა თქვენს უნარებსა და შესაძლებლობებს?**
   ა. საგნების რაოდენობა შეესაბამებოდა, სირთულე არ შეესაბამებოდა
   ბ. არცერთი არ შეესაბამებოდა
   გ. ორივე შეესაბამებოდა
   დ. საგნების სირთულე შეესაბამებოდა, მაგრამ არ შეესაბამებოდა რაოდენობა

2. **თქვენი აზრით, შეფასების სისტემა (არა ლექტორის მიერ დაწერილი შეფასებები, არამედ სასწავლებელში მოქმედი შეფასების სისტემა) ორიენტირებულია:**
   ა. სტუდენტისათვის ცოდნის მიცემაზე
   ბ. სტუდენტის ჩაჭრაზე
   შენიშვნა (რას შეცვლიდით) ----------
   ----

3. **საკმარისად მიგაჩნიათ თუ არა თქვენს მიერ მიღებული ცოდნა მომავალი დასაქმებისათვის?**
   ა. დიახ ბ. არა გ. ნაწილობრივ
   შენიშვნა ----------

4. **აპირებთ თუ არა სწავლის გაგრძლებას მაგისტრატურაში?**
   ა. დიახ ბ. არა გ. არ ვიცი

5. **ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსი:**

რესურსი	სრულად	ნაწილობრივ	არ არის ხელმისაწვოდმი
სილაბუსში მითითებული ლიტერატურა			
ლექტორთან კონსულტაცია			

კომპიუტერული ტექნიკა			
სასწავლო კურსების ცხრილი			

სასწავლო კურსის სილაბუსი			
სტუდენტური ბაზა			
ვებ-გვერდი			

სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება	საშუალოდ რა დრო გჭირდებათ ერთი სალექციო თემის მოსამზადებლად?	საშუალოდ რა დრო გჭირდებათ ერთი შუალედური გამოცდის მოსამზადებლად?	საშუალოდ რა დრო გჭირდებათ დასკვნითი გამოცდის მოსამზადებლად?
	( ) სთ	( ) სთ	( ) სთ

გთხოვთ აღნიშნოთ სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების მიღწევის დონე:

სასწავლო კურსის/მოდულის სახელწოდება	სილაბუსში განსაზღვრული სწავლის შედეგი სრულად მივაღწიე	სილაბუსში განსაზღვრული სწავლის შედეგი ნაწილობრივ მივაღწიე	სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრული სწავლის შედეგს ვერ მივაღწიე

გმადლობთ თანამშრომლობისთვის და გულახდილობისთვის!

დანართი N5

გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

ლექტორის შეფასება

(სასწავლო წელი, სემესტრი)

ლექტორი - ----------

მიუთითეთ რომელი წლის ჩარიცხვის სტუდენტი ბრძანდებით:

შეაფასეთ ქულების მიხედვით. დადებითი შეფასების მაქსიმალური ქულაა 5. მაგალითად: თუ ლექტორი სისტემატურად აგვიანებდა, შემოხაზავთ 0 ან 1 და ა.შ. თუ ლექტორი საერთოდ არ აგვიანებდა და არც ადრე გიშვებდათ, შემოხაზავთ 5.

1	ლექტორი სალექციო დროს სრულად უთმობდა სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკითხების ახსნას	0	1	2	3	4	5
2	ლექტორი არ აგვიანებდა ლექციებზე; ადრე არ უშვებდა სტუდენტებს	0	1	2	3	4	5
3	ლექტორის მიერ ლექციაზე ახსნილი მასალა და მოცემული დავალება (მათ შორის მითითებული ლიტერატურა) შეესაბამებოდა ერთმანეთს	0	1	2	3	4	5
4	ლექტორის მიერ წინა ლექციაზე ახსნილი მასალა და სემინარზე გამოკითხული მასალა შეესაბამებოდა ერთმანეთს	0	1	2	3	4	5
5	ლექტორი იყენებდა ვიზუალურ/ელექტრონულ საშუალებებს ლექციის მსვლელობისას (დაფა, პროექტორი, პლაკატები და სხვ.)	0	1	2	3	4	5
6	ლექტორი სემინარებს და გამოცდებს აფასებს ობიექტურად	0	1	2	3	4	5
7	ლექტორის მიერ მოცემული დავალება (დასამუშავებელი ლიტერატურის ოდენობა, სირთულე) ადეკვატურია	0	1	2	3	4	5
8	ლექტორი გიხსნიდათ იმ შეცდომებს, რის გამოც შეფასებისას დაგაკლდათ ქულა	0	1	2	3	4	5
10	ლექციაზე გქონდათ საშუალება დაგესვათ შეკითხვა, გამოგეთქვათ საკუთარი აზრი	0	1	2	3	4	5
11	თქვენს კითხვებზე ლექტორის პასუხი იყო ამომწურავი	0	1	2	3	4	5
12	ლექტორს აქვს საგნით სტუდენტის დაინტერესების უნარი	0	1	2	3	4	5
13	სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ლექტორთან გაიაროს კონსულტაციები ლექციების დასრულების შემდეგ (არასალექციო საათებში)	0	1	2	3	4	5
14	ლექტორი საგანს ფლობს სრულყოფილად (ლექტორის კვალიფიკაცია)	0	1	2	3	4	5

15	დამატებითი შენიშვნა: ----------

დანართი N6

გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი

(სასწავლო წელი, სემესტრი, საგანმანათლებლო პროგრამა)

1. სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა დასწრების შესახებ

დარეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობა	სასწავლო კურსის დასახელება	I – VII სას კვირა

2. სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა შუალედურ გამოცდაზე გასვლის შესახებ

დარეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობა	სასწავლო კურსის დასახელება	გავიდ შუალედ გამოცდ

3. სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა დასკვნით გამოცდაზე გასვლის შესახებ

დარეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობა	სასწავლო კურსის დასახელება	გავიდა	ვერ გავიდა	არ გავიდა	ჩააბარა გამოცდა	მოიპოვა კრედიტი

4. სტატისტიკური მონაცემები სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ სასწავლო კურსების მიხედვით

დარეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობა	სასწავლო კურსის დასახელება	A	B

5. რამდენი სტუდენტი იყო მოხსნილი შუალედური და დასკვნითი გამოცდებიდან? რა იყო გამოცდიდან სტუდენტების მოხსნის ძირითადი მიზეზები?

N	სასწავლო კურსის დასახელება	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა

6. საშუალოდ რა დრო დაჰყვეს სტუდენტებმა გამოცდებზე? ყველაზე მცირე და ხანგრძლივი ყოფნა გამოცდაზე (ინფორმაცია სასწავლო კურსების მიხედვით).

N	სასწავლო კურსის დასახელება	შუალედური გამოცდა		დასკვნითი გამოცდა	
		ხანგრძლივი	მცირე	ხანგრძლივი	მცირე

7. შენიშვნები ----------

თარიღი

ფორმა ივსება ყოველი სასწავლო სემესტრის დამთავრებიდან ერთი კვირის ვადაში და გადაეცემა ხარისხის მართვის სამსახურს, რომელიც აღნიშნულ

დანართი N 7

გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

დამსაქმებლის კითხვარი

_____

დაწესებულების/ორგანიზაციის სახელწოდება, მისამართი და ტელეფონი

1. რამდენად უზრუნველყოფს ჩვენი კურსდამთავრებულების განათლება იმ მოთხოვნებს, რაც აუცილებელია თქვენთან საქმიანობის შესასრულებლად?
   ა) სრულად ბ) ნაწილობრივ გ) ვერ უზრუნველყო
   სხვა_____

2. რა ცოდნა არ მიგაჩნიათ საკმარისად ჩვენი კურსდამთავრებულების განათლებაში ფუნქციების მოვალეობის შესასრულებლად?
ა) თეორიული ცოდნა
ბ) პრაქტიკული უნარ-ჩვევები
გ) უცხო ენის ცოდნა
დ) დამოუკიდებელი მუშაობის უნარი
ე) გუნდში მუშაობის უნარი
ვ) არასპეციალისტებისათვის გასაგებად ახსნის უნარი
ზ) საკუთარი შეხედულების დასაბუთების უნარი
თ) დროის სწორი გათვლის უნარი
ი) ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
კ) დებატებში ჩართვისა და განსხვავებული აზრის გაზიარების უნარი
ლ) ადამიანური ღირებულებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა
სხვა _____

3. თუ დაგჭირდათ ჩვენი კურსდამთავრებულის გადამზადება (მათთვის დამატებით ცოდნის/უნარ-ჩვევების გადაცემა)? სად და რა ფორმით მოხდა ეს?
   ა) კი ბ) არა

4. ძირითადად როგორ უზრუნველყოფთ შესაბამისი კვალიფიკაციების მქონე ადამიანების მოძიებას?
   ა) სტაჟირების შედეგად
   ბ) გასაუბრებით
   გ) რეკომენდაციით
   დ) ტესტირებით

5. კმაყოფილი ხართ, რომ თქვენი არჩევანი შეაჩერეთ ჩვენს კურსდამთავრებულზე?
   ა) კი ბ) არა

6. გთხოვთ აღწეროთ ის ძირითადი სირთულეები, რომლებიც გხვდებათ ადამიანური რესურსების მოძიებისას
   ა) კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;
   ბ) არასაკმარისი კომუნიკაცია კურსდამთავრებულებთან;
   გ) კურსდამთავრებულის მხრიდან რეგიონებში დასაქმების არასაკმარისი მზაობა
   დ) კურსდამთავრებულის მხრიდან შეთავაზებულზე მეტი ანაზღაურების მოთხოვნა
   სხვა _____

7. რატომ შეაჩერეთ არჩევანი ჩვენ კურსდამთავრებულზე?

8. რა კვალიფიკაციაზეა თქვენთან ძირითადად მოთხოვნა?

დანართი N 8

გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

ხარისხის მართვის სამსახურის დასკვნა

პროგრამის სახელწოდება ----------

1.<u>წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე</u>

შევსებულია ყველა პუქნტი	
არ არის შევსებული შემდეგი პუნქტ(ებ)ი	
ბოლომდე არ არის შევსებული შემდეგი პუნქტ(ებ)ი	

<u>მიუთითეთ, რომელი პუნქტებია შესავსები</u>

_____

2. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შეესაბამისობა უმაღლესი განათლების ჩარჩოსთან

შეესაბამება	
არ შეესაბამება	

<u>აღნიშნეთ, როგორი კვალიფიკაცია უნდა ყოფილიყო მითითებული</u>

_____

3. პროგრამის მონაწილე ლექტორების რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მიღწევას:

ა. კი ბ. არა

komentari:

_____

4. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანამიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

ა. კი ბ. არა

komentari:

_____

5. პროგრამის მიზნის ფორმულირების სიზუსტე

პროგრამის მიზანი მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშვებაზე	
პროგრამის მიზანი არ არის მიმართული სტუდენტის კომპეტენციების გამომუშვებაზე	
პროგრამის მიზანი მიმართულია დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე	

პროგრამის მიზანი არ არის მიმართული დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

6. პროგრამის მიზნის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან

სრული შესაბამისობა	
სრული შეუსაბამობა	
ნაწილობრივ შეესაბამება	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

7. პროგრამის მიზნის მიღწევის დონე

პროგრამის მიზანი სრულად მიღწევადია	
პროგრამის მიზანი ნაწილობრივ მიღწევადია	

პროგრამის მიზანი მიუღწევადია	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____
__

8. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სრული შესაბამისობა	
სრული შეუსაბამობა	
ბოლომდე არ შეესაბამება	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____
__

9. შესაბამისობა პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს შორის

სრული შესაბამისობა	
სრული შეუსაბამობა	
ბოლომდე არ შეესაბამება	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____
__

10. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სრულად უზრუნველყოფს	
ნაწილობრივად უზრუნველყოფს	
ვერ უზრუნველყოფს	

11. საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სრულად უზრუნველყოფს	
ნაწილობრივად უზრუნველყოფს	
ვერ უზრუნველყოფს	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____
__

12. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე

სრულად უზრუნველყოფს	
ნაწილობრივად უზრუნველყოფს	
ვერ უზრუნველყოფს	

13. სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმაში გაწერილია სტუდენტთა დატვირთვა საათების მითითებით	
სასწავლო გეგმაში გაწერილი არ არის სტუდენტთა დატვირთვა საათების მითითებით	

14. პროგრამის საგნებს შორის დუბლირება (ცალკეული საკითხების დონეზე)

დუბლირება არსებობს	
დუბლირება არ არსებობს	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

15. სწავლის შედეგების რუკა

აღწერილია თითოეული სასწავლო კურსის/პრაქტიკის/მოდულის გავლის შედეგად მიღწეული კომპეტენციები	
აღწერილი არ არის თითოეული სასწავლო კურსის/პრაქტიკის/მოდულის გავლის შედეგად მიღწეული კომპეტენციები	

16. არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა

რელევანტურია	
არ არის რელევანტურია	

17. ECTS კრედიტების სისტემა

პროგრამაში სწორად არის განაწილებული	
პროგრამაში სწორად არ არის განაწილებული	
სასწავლო კურსებს ადეკვატურად აქვთ მითითებული	
სასწავლო კურსებს ადეკვატურად არ აქვთ მითითებული	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

18. <u>პრაქტიკა</u>

პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკას, რადგან მას ეს არ მოეთხოვება	
პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკას, თუმცა მას ეს მოეთხოვება	
პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას, თუმცა მას ეს არ მოეთხოვება	
პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას, რაც აუცილებელია პროგრამით დასახული მიზნის მისაღწევად	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

19. პრაქტიკის ბაზა

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

20. მატერიალური ბაზა

უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას	
ვერ უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას	

21. პროგრამის შემუშავების პროცესი

პროგრამა საჯაროდ განხილული არ არის (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები)	
პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდა მხოლოდ აკადემიური პერსონალი	
წარმოდგენილია პროგრამის დამტკიცების აქტი	
პროგრამის დამტკიცების აქტი წარმოდგენილი არ არის	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____

22. პროგრამას თან ახლავს სასწავლო კურსების სილაბუსები

პროგრამას თან ახლავს ყველა სასწავლო კურსის/პრაქტიკის/მოდულის სილაბუსი	
პროგრამას არ ახლავს ყველა სასწავლო კურსის/პრაქტიკის/მოდულის სილაბუსი	

<u>კომენტარი:</u>

_____

_____
__

23. პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის მიღწევას	
პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა ვერ უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის მიღწევას	

24. პროგრამის კატალოგი

შევსებულია ყველა პუქნტი	
არ არის შევსებული შემდეგი პუნქტ(ებ)ი	
ბოლომდე არ არის შევსებული შემდეგი პუნქტ(ებ)ი	

25. შემაჯამებელი კომენტარები/რეკომენდაციები (გთხოვთ, კიდევ ერთხელ მიუთითოთ ყველა შენიშვნა, კომენტარი თუ რეკომენდაცია):

_____
__

_____
__

_____

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

თარიღი